



Kingdom of the Netherlands

პრესრელიზი

5 დეკემბერი 2011 წ.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) წარმოგიდგენთ პროექტს, რომლის მხარდამჭერია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩო. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოების ჩართულობას კონსტიტუციური კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს მოქალაქეები, კონსტიტუციური კანონპროექტის ავტორები, ექსპერტები, მასმედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

პრეზენტაციის მთავარ თემას წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წლის 11 ნოემბერს გამოქვეყნებული კონსტიტუციური კანონპროექტი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ, (რომელიც ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდას 150-დან 190 დეპუტატამდე).

შეხვედრაზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- ეწინააღმდეგება თუ არა კონსტიტუციური ცვლილებები დეპუტატთა რაოდენობის ზრდის თაობაზე 2003 წლის რეფერენდუმის შედეგებს;
- რა არის მიმდინარე კონსტიტუციური ცვლილებების ინიცირების მიზეზები და მიზნები;
- კონსტიტუციური კანონის მიღების შემთხვევაში მისი სავარაუდო ფინანსური ეფექტი სახელმწიფოს ბიუჯეტზე და სხვა;

საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის“.

შეხვედრა გაიმართება: 5 დეკემბერს, ქ.დუშეთში 11:00-საათზე, დუშეთის კულტურის სახლის დარბაზში.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“

თამარ ჯიჯიხია

ტელ: 555 97 44 74

ელ-ფოსტა: pr@isfed.ge